

წარმოიდგენთ TEMPUR®

მადლობას გიხდით არჩევანის TEMPUR®-ზე შეჩერებისთვის. თქვენ შემოუერთდით მსოფლიოს გარშემო მზარდ ჩვენი მომხმარებლების ჯგუფს, რომლებიც სიამოვნებით იყენებენ ჩვენს კომფორტულ პროდუქციას და ეზიარებიან TEMPUR®-ის წნევის შემსუბუქების სასარგებლო თვისებებს. არც ერთი მსგავსი ტიპის პროდუქცია არ ზრუნავს, ერგება და ხელს უწყობს თქვენ სხეულს ისე, როგორც ჩვენი TEMPUR® ქაფის მასალა. აღნიშნული სახელმძღვანელო მოიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დაგჭირდებათ TEMPUR® Magic -ის მოსავლელად და მისგანი მაქსიმალური სარგებლის მისაღებად.

პროდუქციის თაობაზე კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ, ესტუმროთ warranty.tempur.com

როგორ ვუვლით TEMPUR® -ის პროდუქციას

თქვენი მატრასების მიტანის დროს

გადაზიდვის დროს, შედარებით დიდი ზომის საგნების, როგორცაა მატრასების/ლეიბების შალითები შეიძლება დაიდრას საწყისი პოზიციიდან. შეფუთვის გახსნის შემდეგ, TEMPUR®-ის პროდუქტი შეათბეთ და გაუთანაბრეთ გარემო ჰაერის ტემპერატურას, ტექსტილის შალითა შეიძლება უკან დააბრუნოთ საწყის პოზიციაზე ხელის მეშვეობით.

„ახალი პროდუქტის“ სურნელი

TEMPUR® პროდუქტის შეფუთვის გახსნის შემდეგ ზოგიერთმა ადამიანმა შეიძლება იგრძნოს მცირე სუნის. აღნიშნული სურნელი სავსებით უვნებელია და ხანმოკლე პერიოდის შემდეგ ქრება. სურნელის გაქრობის პროცესის დასაჩქარებლად პროდუქტის გამოყენებამდე და გამოყენების შემდეგ, უბრალოდ გაანიავეთ პროდუქტი სუფთა ჰაერზე შალითის გარეშე.

TEMPUR® ქაფის მასალის შესახებ

TEMPUR® ქაფის მასალა წარმოადგენს წნევის შემცირების მქონე ზედაპირს, რომლის კონსტრუქციაც ვისკოელასტიური ღია უჯრედის სტრუქტურის წყალობით იწოვს და ანაწილებს თქვენი სხეულის წონას მაქსიმალური კომფორტის უზრუნველსაყოფად. ტემპერატურასთან მგრძობიარე თვისებები არბილებენ, კუმშავენ და ერგება თქვენი სხეულის უნიკალურ ფორმას და წონას ოთახის საშუალო ტემპერატურაზე პერსონიზირებული მხარდაჭერისთვის. TEMPUR® ქაფის მასალის მაღალი ხარისხის სიმკვრივე უზრუნველყოფს მაქსიმალურ სტაბილურობასა და კომფორტს.

TEMPUR® ქაფის მასალა რეაგირებს ადამიანის სხეულის თერმულ გავლენაზე. ვისკოელასტიურობა ქაფის მასალაში უზრუნველყოფს თქვენი TEMPUR® პროდუქტის პირვანდელ ფორმაში დაბრუნებას შეკუმშვის შემდეგ გარკვეული დროით შეყოვნებით. აღნიშნული შეყოვნება განსხვავდება სხვადასხვა ტემპერატურის შესაბამისად. 18°C-ზე ან

უფრო დაბალ ტემპერატურაზე უფრო მყარი ხდება პროდუქტი და მაღალ ტემპერატურაზე TEMPUR®-ის პროდუქტი რბილდება .

შეგრძნებებთან შეჩვევა

იმ შემთხვევაში, თუ თქვენს მიერ გამოყენებული მატრასი, ან ბალიში უფრო ტრადიციული მეთოდით იყო დამუშავებული მაგალითად, როგორცაა ზამბარიანი, ბუმბულიანი და/ან ბოჭკოვანი შიგთავსის მქონე საშუალებები, საწყის ეტაპზე TEMPUR® პროდუქცია განსხვავებული შეგრძნების მომტანი იქნება თქვენთვის. TEMPUR® ქაფის მასალის წნევის უნიკალური შემამსუბუქებელი თვისებები შესაძლოა თქვენი სხეულისთვის გარკვეულ ეტაპზე რთულად შესაგუებელი გახდეს.

შეგუების პერიოდი

მხოლოდ TEMPUR® მატრასი

რაც უფრო მეტი დროს ატარებთ საწოლზე, ან საწოლში: დასვენება, კითხვა, ან ტელევიზორის ყურება, მით უფრო უკეთესად ეგუებით. დამატებითი მოძრაობა TEMPUR® ქაფის მასალაზე უჯრედებს გახსნაში დაეხმარება. როგორც კი იხსნება უჯრედები, ისინი „სუნთქავენ“ და სწრაფად რეაგირებენ წონასა და ტემპერატურაზე, თუმცა უბრუნდებიან თავიანთ პირვანდელ ფორმას. მომხმარებელი კი გრძნობს, რომ მისი მატრასი ბევრად უფრო დარბილდა, მაგრამ ფაქტიურად არანაირი ცვლილება არ აღენიშნება თქვენი პროდუქტის წნევის შემსუბუქების თვისებებს.

გადაბრუნება არ არის საჭირო

TEMPUR® -ის ტექნოლოგიის უახლესმა მიღწევებმა მინიმუმამდე დაიყვანა ტექნიკური მომსახურება. მატრასის თითოეული მოდელი მრავალშრიანია, რაც საშუალებას გაძლევთ გეძინოთ მხოლოდ ზედა მხარეს. თქვენი პროდუქტის ვარგისიანობის ვადის გასახანგრძლივლებლად, პერიოდულად თქვენ შეატრიალოთ მატრასი, ანუ ატრიალებთ ქვემოდან (ფეხების მხრიდან) ზემოთ (თავის მხარეს).

BY TEMPUR® ბალიშები

- პროდუქტის მიღებიდან 2-3 კვირის შემდეგ, თქვენ შეგიძლიათ ბალიში გამოიყენოთ, დღის განმავლობაში, რათა გაუმჯობესდეს წნევის შემსუბუქების თვისებების უპირატესობის დონე და უფრო კომფორტული გახდეს თქვენი ღამის ძილი.

გადაადგილება, ტრანსპორტირება, შენახვა და განადგურება













- თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, TEMPUR® პროდუქცია არ უნდა მოკეცოთ, ან დააწვეთ ისე, რომ დააკარგვინოთ თავისი პირვანდელი ფორმა, ვინაიდან ამითი რისკის ქვეშ აყენებთ ქაფის მასალას და აკარგვინებთ ყველა იმ საუკეთესო თვისებას, რაც უნდა მიიღოთ აღნიშნული პროდუქტისაგან.
- ტრანსპორტირების, ან შენახვის დროს TEMPUR® პროდუქციაში ქაფის მასალის თვისების გამო შეიძლება მოხდეს მისი მცირედით შეკუმშვა. ოთახის ტემპერატურაზე მოკლე დროის გასვლის შემდეგ მოხდება პროდუქტის ნორმალურ ზომაზე დაბრუნება.
- არ გაშალოთ TEMPUR® მატრასის დასაფენი - ტოპერი, როდესაც ცივა, ვინაიდან შეიძლება გამოწვეულ იქნას ქაფის მასალის გაცვეთა, ან გაბზარვა. TEMPUR® -

ის ტოპერი უნდა განთავსდეს ოთახის ტემპერატურაზე, სანამ მოხდება მისი გაშლა.

- TEMPUR® პროდუქცია უნდა ინახებოდეს პირვანდელ ფორმაში. გამონაკლისს წარმოადგენს აღნიშნული TEMPUR® სამგზავრო ბალიში, რომელიც შეიძლება ტრანსპორტირებულ იქნას დახვეულ მდგომარეობაში ჩანთით (ჩანთა უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ მგზავრობის დროს, რათა თავიდან იქნას აცილებული ბალიშის დეფორმაცია).
- მატრასები უნდა შეინახოთ ჰორიზონტალურად, იდეალურად სწორ ზედაპირზე ორიგინალ შეფუთვაში.
- TEMPUR® ტოპერი უნდა იქნას შენახული, როგორც დახვეულ ასევე გასწორებულ მდგომარეობაში.
- TEMPUR® პროდუქცია უნდა ინახებოდეს მშრალ გარემოში (მაქსიმალური 65% ფარდობითი ტენიანობა).
- გამოყენებული პროდუქტის გასანადგურებლად გთხოვთ, მიმართოთ თქვენი ქვეყნის ადგილობრივ შესაბამის ორგანოს.

სიმბოლოები

პროდუქტზე, შეფუთვაზე, ან წინამდებარე სახელმძღვანელოში გამოყენებულია შემდეგი სიმბოლოები.

 მწარმოებელი	 წარმოების თარიღი	 პარტიის ნომერი	 CE მარკირება 1-ლი კლასის სამედიცინო მოწყობილობა MDR (EU) 2017/745-ის მოთხოვნების შესაბამისად.
 სამედიცინო მოწყობილობა	 ↑UP პროდუქტის საორიენტაციო გამოყენება ამოზეჭდილი ლეიბზე/მატრასზე	 გამოყენებისთვის იხილეთ, ინსტრუქციები	 საგანს გააჩნია ბუნებრივი რეზინის ლატექსი პროდუქტში აგებულიების მასალის სახით
 მორიდეთ ღია ცეცხლს	 ტენიანობის ზღვარი	 შეინახეთ მშრალ მდგომარეობაში	 მომხმარებლის რეკომენდირებული წონა

CE მარკირება

TEMPUR® -ის ბევრი პროდუქტი კლასიფიცირებულია, როგორც 1-ლი კლასის სამედიცინო მოწყობილობა, და ფლობს CE მარკირებას MDR (EU) 2017/745-ის შესაბამისად.

გთხოვთ, შეამოწმოთ პროდუქტის ეტიკეტი, რომელიც განთავსებულია ტექსტილის შალითის შიგნით, რათა იხილოთ ფლობს, თუ არა თქვენს მიერ შეძენილი პროდუქტი CE მარკირებას.

CE მარკირების მიზნობრივი გამოყენება მოიცავს მოზრდილებში წყლულების/ნაწოლების რისკის პრევენციას, ან შემცირებას. ეს ეფექტი მიიღება TEMPUR® ქაფის მასალის წნევის გადანაწილებისას.

CE მარკირებული პროდუქცია განკუთვნილია სახლში მკურნალობის დროს. მნიშვნელოვანია, რომ უმოძრაო მდგომარეობაში მყოფი მომხმარებლები მუდმივად იცვლიდნენ პოზიციას.

CE მარკირებული TEMPUR® მატრასები და მატრასის დასაფენები გამოიყენება 150 კგ-მდე წონის მქონე პირებში.



პროდუქტით გამოწვეული სერიოზული ინციდენტის შემთხვევაში, შეატყობინეთ მწარმოებელს და მომხმარებლის ქვეყანაში მოქმედ შესაბამის ორგანოს.


მწარმოებლისათვის ინციდენტის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას გთხოვთ, ინციდენტზე ანგარიში საგარანტიო პირობებზე საჩივრის სახით წარადგინოთ სახელმძღვანელოს პუნქტში „საგარანტიო პირობები“ მოცემული ინსტრუქციების შესაბამისად.


გთხოვთ გაითვალისწინოთ დამატებითი გამოყენების ინსტრუქცია გაფრთხილებები და სიფრთხილის ნორმები

შემდეგი სიმბოლოები და ტექსტი უნდა იქნას გამოყენებული შესაძლო საფრთხეზე და არასასურველ სიტუაციებზე ყურადღების გასამახვილებლად.


გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ წინამდებარე ინსტრუქციის დაუცველობამ შეიძლება მიგვიყვანოს ადამიანის კრიტიკულ დაშავებამდე, ან პროდუქტის დაზიანებამდე.


	გაფრთხილება	ყურადღება გაამახვილეთ ისეთ სიტუაციებსა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიკვდილი, ან კრიტიკული დაზიანება.
	ყურადღება	ყურადღება გაამახვილეთ ისეთ სიტუაციებსა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის საშუალო, ან მსუბუქი დაზიანება.
	მნიშვნელოვანი	ყურადღება გაამახვილეთ ისეთ სიტუაციებსა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პროდუქტის, ან სხვა ქონების დაზიანება.


 **გაფრთხილება:** არ დატოვოთ ჩვილები, პატარა ასაკის ბავშვები, ან მოხუცები უყურადღებოდ, თუ მათ დამოუკიდებლად არ შეუძლიათ გადაბრუნება.

 **გაფრთხილება:** მნიშვნელოვანია, რომ უმოძრაო მდგომარეობაში მყოფი მომხმარებლები მუდმივად იცვლიდნენ პოზიციას.

უყურადღებობა იწვევს ხანძარს - აკრძალულია პროდუქტი გამოყენების დროს, ან საწოლში მოწვევა.

 **გაფრთხილება:** ხანძრის საფრთხე: პროდუქტი მთავრად ღია ცეცხლს.

 **ყურადღება:** არ გამოიყენოთ საწოლის საფენები TEMPUR® -ის მატრასებზე, ვინაიდან ისინი ამცირებენ წნევის შემსუბუქების თვისებას. ოპტიმალური გადაწყვეტილების სახით ჩვენ გთავაზობთ ზეწარის პირდაპირ მატრასზე/ლეიბზე დაფენას.

 **ყურადღება:** გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ TEMPUR® ქაფის მასალა უკეთესად ფუნქციონირებს მომხმარებლის ბუნებრივ სითბოზე რეაგირებისას, აქედან გამომდინარე ელექტრო ლეიბი და / ან ცხელი წყლით სავსე ბოთლების გამოყენება **რეკომენდირებული არ არის**. გათბობა, რომელსაც ელექტრო ლეიბი გამოყოფს, დროებით ახდენს ტემპერატურის მგრძობელობის შენაცვლებას TEMPUR® ქაფის მასალაში. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი მაინც აირჩევს ელექტრო ლეიბს, ჩვენ გთავაზობთ ცალკე ზეწარი გადააფაროთ პროდუქტსა და ელექტრო ლეიბს შორის და მოარიდოთ ის TEMPUR® -ის ქაფის მასალასთან პირდაპირი შეხებისაგან.

- **მნიშვნელოვანი:** ყოველთვის დაიცავით ელექტრო ლეიბის მიმწოდებლის გამოყენების ინსტრუქცია.
- **მნიშვნელოვანი:** იმ შემთხვევაში, თუ თქვენ წყლიან ბოთლს გამოიყენებთ, რომელიც ჟონავს და ასველებს, ალაქავებს, ან აზიანებს მატრასს, აღნიშნული შემთხვევაში, **თქვენი საგარანტიო პირობა დაირღვევა**.

IMPORTANT:

- TEMPUR® მატრასების განთავსება უნდა ხდებოდეს ვენტილაციის მქონე ბაზაზე, მაგალითად: ზამბარებზე, ან ფიცრებზე, რათა თავიდან იქნას აცილებული მატრასში ტენიანობის დაგროვება.
- არ გამოიყენოთ TEMPUR® ბალიში სველი თმის შემთხვევაში, ვინაიდან აღნიშნულით დააზიანებთ ქაფის მასალას.
- არ გადაკვეთოთ, ან მოლუნოთ, ან დააწვეთ ძალით TEMPUR® -ის პროდუქტს, რათა აღნიშნულმა მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ქაფის მასალის დაზიანება. დაფენამდე TEMPUR® მატრასის დასაფენები გაუთანაბრეთ ოთახის ტემპერატურას.
- არ მოკვეცოთ, გადაკვეცოთ ან დააწვეთ ძალით TEMPUR® პროდუქტს ისე, რომ მიიღოს ისეთი ფორმა, რომელიც ქაფის მასალის დაზიანების რისკის შემცველია.
- არ შეცვალოთ, ან არ მოახდინოთ პროდუქტის რესტავრაცია - აღნიშნული გაგიუქმდებათ საგარანტიო პირობები.

წმენდა და ტექნიკური უზრუნველყოფა

- შალითების უმეტესობა შეიძლება მოიხსნას და გაირეცხოს. გთხოვთ, დაიცვათ წმენდის კონკრეტული ინსტრუქცია, რომელიც ტექსტილის შალითის შიგნით არის განთავსებული.
- ტექსტილის ზოგიერთი შალითა, რომელიც TEMPUR® ქაფის მასალას შეიცავს არ ირეცხება და დაუშვებელი ქიმიური/მშრალად წმენდის ჩატარებაც, დასაშვებია მხოლოდ მისი ჰაერზე განიავება და ჯაგრისით გაწმენდა.

TEMPUR® Down Luxe ბალიში.


- **ამოიღეთ ქაფის ტომარა, რომელიც TEMPUR® ქაფის მასალისაგან შედგება, სანამ ქვედა შალითას გარეცხავთ**
- გამოიყენეთ ფერმენტისაგან თავისუფალი სარეცხი საშუალება ქვედა შალითის გასარეცხად და გააშრეთ სპეციალური საშრობი ბურთებით (ან ჩოგბურთის სუფთა ბურთებით), რათა თავიდან აიცილოთ წებოვნების წარმოქმნა და გარანტირებულ იქნას თანაბარი შრობა.
- **არ გამოიყენოთ**, ქსოვილის დამარბილებელი საშუალება ქვედა შალითის შემთხვევაში.
- ქვედა შალითა სრულად უნდა გაშრეს გამოყენებამდე, ან შენახვამდე.
- რეკომენდაცია: აწონეთ, Down Luxe ბალიშის შალითა (ქაფის ტომარის გარეშე) გარეცხვამდე. გააშრეთ შალითა რეცხვის შემდეგ, სანამ შალითა იგივე წონას არ მიიღებს, რაც გარეცხვამდე ჰქონდა. ამის შემდეგ უკვე დარწმუნებით გეცოდინებათ, რომ შალითა სრულად მშრალია.


მნიშვნელოვანი:

- არ გარეცხოთ TEMPUR® ქაფის მასალა. ამ შემთხვევაში, გამონაკლის წარმოადგენს TEMPUR® EasyClean ბალიში, რომელიც შეიძლება გაირეცხოს (იხელმძღვანელოთ გაწმენდის კონკრეტული ინსტრუქციებით, რომელიც აღნიშნული ბალიშის ტექსტილის შალითის შიგნით განთავსებულ ეტიკეტზეა მითითებული).
- არ მოახდინოთ TEMPUR® ქაფის მასალის ორთქლით, ან ქიმიურად წმენდა.

მნიშვნელოვანი:

- TEMPUR-MED®-ის ყველა პროდუქტი მუდმივად უნდა განიავდეს, რათა ტენიანობა სრულად იქნას თავიდან აცილებული.

 **ყურადღება:** ტექსტილის შალითის გარეცხვის შემდეგ გთხოვთ დარწმუნდეთ, რომ შალითა ჩანაცვლებულია ახლით პენოპლასტის მატრასის/ლეიბის გვერდზე დაბეჭდილი საორიენტაციო პირობების შესაბამისად. TEMPUR® ქაფის მასალა, რომელიც უზრუნველყოფს წნევის განაწილებას მხოლოდ გულარის ზედა მხარეზეა განთავსებული.

 **ყურადღება:** . ქაფის შრეების მქონე ტექსტილის შალითების, ან ბალიშების გარეცხვის შემდეგ გთხოვთ, გაითვალისწინოთ პენოპლასტის გულარის ორიენტაცია, როდესაც პროდუქტის ხელახალი აწყობა ხდება. TEMPUR® -ის ქაფის მასალა, რომელიც წნევის ხელახალ განაწილებას უზრუნველყოფს მხოლოდ გულარის ზედა მხარეზეა განთავსებული.

პროდუქტის ტექნიკური ინფორმაცია

- გარკვეული TEMPUR® პროდუქცია ფლობს მდგრად/არასრიალა საფარს ქვედა მხარეს, რათა არ მოხდეს მათი გასრიალება გამოყენების დროს.
- TEMPUR® პროდუქტი სხვადასხვა ზომებით არის ხელმისაწვდომი. ასევე შესაძლებელია მომხმარებელზე მორგებული ზომების გათვალისწინება. პროდუქტის წონა დამოკიდებულია პროდუქტის ზომაზე. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ მოთხოვნისთანავე.
- შემადგენელი მასალა –იხილეთ პროდუქტის ეტიკეტი, რომელიც განთავსებულია ტექსტილის შალითის შიდა მხარეს.

ლატექსი

TEMPUR®-ის გარკვეული პროდუქცია წარმოებულია TEMPUR® -ის ქაფის მასალის შრეებისაგან ზედაპირზე, ხოლო წებოვანი მასალისაგან, რომელიც შეიცავს ლატექსს შრეებს შორის.

გთხოვთ, შეამოწმოთ პროდუქტის ეტიკეტი შალითის შიგნიდან, რათა იხილოთ შეიცავს თუ არა თქვენს მიერ შეძენილი პროდუქტი ლატექსს.

TEMPUR® ქაფის მასალა და შალითა არ შეიცავს ლატექსს.

სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტები



გაფრთხილება: ხანძრის რისკი: მოარიდეთ პროდუქტი ღია ცეცხლს

TEMPUR® product	Fire safety
მატრასი, ლეიბის შალითები	EN 597-1 (სიგარეტის ტესტი),
მატრასები, ლეიბის/მატრასის დასაფენი (ცეცხლგამძლე ვარიანტი)	BS 7177 დაბალი დონის საფრთხე - (DS/EN 597-1 (სიგარეტი) DS/EN 597-2 (ასანთი) BS 5852 (Crib V) ქაფზე
ბალიშები და პოზიციის განმსაზღვრელი პროდუქცია (დაპრესილი და გრანულირებული შემავსებელი მასალით)	EN/ISO 12952-1 (სიგარეტი)
ბალიშები და პოზიციის განმსაზღვრელი პროდუქცია, ჩამოსხმული (ცეცხლგამძლე ვარიანტი)	(EN/ISO 12952-1 (სიგარეტის ტესტი) EN/ISO 12952-2 (ასანთი) BS 5852 (Crib V) ქაფზე
ბალიშები და პოზიციის განმსაზღვრელი პროდუქცია გრანულირებული შემავსებელი მასალით (ცეცხლგამძლე ვარიანტი)	EN/ISO 12952-1 ((სიგარეტის ტესტი) EN/ISO 12952-2 (ასანთი) BS 5852 (source 2) ქაფზე
Down Luxe ბალიში (ცეცხლგამძლე ვარიანტი)	BS 5852 (source 2) ქაფის გრანულეზზე BS 5852 (source 2) on downs

მწარმოებელი



Dan-Foam ApS

Holmelund 43

5560 Aarup

Denmark

*Dan-Foam ApS is a subsidiary of TEMPUR-
Sealy International, Inc